P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ვინ ლაპარაკობს ყველაზე მეტს ქუთაისის მერიაში?

დაფინანსებული საუბარი პრივილეგიებით

იხილეთ **მე-2 გვერდზე**

№ 33 (683) 25 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ამბავი ქუთაისის თერთმეტი მერისა, მმშ-ების მოსვლა-წასვლისა და ერთი ხელშეუხებელი ვიცე-მერისა...

ქუთაისის ახალ ვიცე-მერად და მომავალ მერად შოთა მურღულიას დანიშვნით, როგორც ჩანს, ამ ქალაქში ვაკხანალიის დასრულება და მის მომავალზე პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობამ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დააკისრა. შოთა მურღულია სწორედ ამ სამინისტროს მინისტრის მოადგილის პოსტიდან გადმოიყვანეს ქუთაისში.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საკადრო ცვლილებები არც ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობისთვის არის სიახლე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისი ამ მხრივ ნამდვილად პირველობს. მას შემდეგ, რაც მაისში საკრებულოს უმრავლესობამ ქუთაისის მერს, ბესიკ ბრეგაძეს, იმპიჩმენტი გამოუცხადა და ქალაქის თავის პოსტი ვაკანტური გახდა, საკრებულოში შექმნილმა მუდმივმოქმედმა 7-კაციანმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ (რომელსაც კულუარებში „შვიდკაცასაც“ ეძახიან) ხმათა უმრავლესობით საუკეთესო ბიოგრაფიის და წარსულის მქონე, ნიუპორტში განათლებამიღებულ და ამერიკაში წარმატებამიღწეულ დიმიტრი კოპალიანს „ჩაბარა“ ქალაქის მმართველობა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კოპალიანის კანდიდატურა, მიუხედავად საქართველოსთან 20-წლიანი განშორებისა, ქუთაისურმა საზოგადოებამ მაინც სიხარულით და მოლოდინით მიიღო. საზოგადოების ნდობა და პატივისცემა იქამდეც კი მივიდა, რომ იმპიჩმენტდამუქრებულ კოპალიანს მერიის შენობაში ღამეებს იმ მიზეზით „უთევდნენ“, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ დაანონსებული იმპიჩმენტი სისრულეში არ მოეყვანა.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

აქვს თუ არა სახელმწიფოს საავადმყოფოების დავალიანება?

საავადმყოფოების ხელმძღვანელობის ბრალდებებს ჯანდაცვის მინისტრი უარყოფს

მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში მოსახლეობის 100 პროცენტი დააზღვია, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ აღებული პასუხისმგებლობისა, კერძო სადაზღვევო კომპანიები ბაზარზე კვლავ დარჩნენ, რომელთაც საავადმყოფოების მრავალთვიანი დავალიანება ამ დრომდე აქვთ.

ბაზარზე კერძო სადაზღვევოების დარჩენას უარყოფითად აფასებენ სამედიცინო სფეროში. მათი განცხადებით, სახელმწიფოსა და საავადმყოფოს ურთიერთობაში შუამავალი აუცილებელი არ არის.

სადაზღვევოების მსგავსად, საავადმყოფოების ორთვიანი დავალიანება აქვს სახელმწიფოსაც, არსებულ დავალიანებას სხვადასხვაგვარად აფასებენ ქუთაისში მოქმედი საავადმყოფოების წარმომადგენლები. ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ერთიანად აღებულ პასუხისმგებლობას თავი ვერ გაართვა. ნაწილი კი საკითხს ლოიალურად აფასებს და აღნიშნავს: მთავარია, სახელმწიფო აღიარებს ამ დავალიანებას და თანხის სრულად დასაფარად მიმდინარეობს მუშა პროცესი, მედპერსონალი კი ამ ფაქტს გაგებით უნდა მოეკიდოს, რადგან მათ პრაქტიკაში გაცილებით რთული მდგომარეობაც ჰქონიათ.

მამუკა მიქაძე (გინეკოლოგიური კლინიკის, შპს „ბომონდის“ გენერალური დირექტორი): „საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში პაციენტთა მომართვიანობა საგრძნობლად გაიზარდა, მაღალკვალიფიციური მომსახურეობა ხელმისაწვდომი გახდა. თუმცა, ამავდროულად, სახელმწიფომ ვერ შეძლო საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულების დროული დაფარვა. ამ ეტაპზე ორი თვის ხელფასია ჩამოსარიცხი, თუმცა, ეს არაფერია სადაზღვევო კომპანიების დავალიანებასთან შედარებით.

ცუდია, რომ ბაზარზე კვლავ დარჩნენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: „ალდაგი“, „არქიმედე“, „ჯი პი აი“, „ჯეო ჰოსპიტალსი“... რომლებიც არ იმსახურებენ ბაზარზე ყოფნას. მათი დავალიანება 300 000 ლარს აღწევს.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

ქუთაისში, შესაძლოა, საუკუნოვან წყაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოს

საფიჩხიელები „აბაშიძის წყაროს“ გადარჩენას ითხოვენ

იხილეთ **მე-6 გვერდზე**

ქუთაისის საკრებულოს მუშაობას გამოკითხულთა 27% უარყოფითად აფასებს

იხილეთ **მე-7 გვერდზე**

პარლამენტის თბილისში დაბრუნებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმაც არ დაუჭირეს მხარი?

იხილეთ **მე-7 გვერდზე**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტი 80 წლისაა

იხილეთ **მე-6 გვერდზე**

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

სოციალურად დაუცველი გადარჩენას ითხოვს

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას, შესაძლოა, ახალი კორპუსი დაემატოს

ნარგიზა ჩოგოვაძე: „მეშინია, წვიმა არ ჩამოვიდეს და წიგნები არ გამიფუჭოს“

იხილეთ **მე-6 გვერდზე**

სკანვორდი — გვ. 7

ჰოროსკოპი — გვ. 7

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ამბავი ქუთაისის თერთმეტი მერისა, მმშ-ების მოსვლა-წასვლისა და ერთი ხელშეუხებელი ვიცე-მერისა...

„P.S.ფოტო" ©

პირველი გვერდიდან

მიუხედავად კოპალიანის სურვილისა, ამერიკული გამოცდილება ქუთაისის სასიკეთოდ გამოეყენებინა, რატომღაც ქუთაისში სწორედ „პატიოსნება", არ აპატიეს, რის გამოც თანამდებობა დატოვა.

გახშირებულ საკადრო ცვლილებებს ადგილობრივ თვითმმართველობაში კოპალიანის წასვლას ნამდვილად არ უკავშირებენ, რადგან 2003 წლიდან ქალაქმა 11 მერი გამოიცვალა. ქუთაისში იმასაც კი ხუმრობენ, რომ მერიას შაშიაშვილის წყევლამ უწია, რის გამოც ქალაქის მერის პოსტზე ნებსით თუ უნებლიედ დიდხანს ვერავინ ძლებს.

კოპალიანის წასვლის შემდეგ მერის შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსამდე ქალაქის მერის თანამდებობაზე ვიცე-მერები კარუსელივით ტრიალებდნენ. ლომიძე, თოფურიძე, ისევ ლომიძე, შარაბიძე — მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობებზე ისე ცვლიდნენ ერთმანეთს, რომ ხშირად თვითონაც მოგვიანებით იგებდნენ.

პარალელურად, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და საკრებულოს „ნაციონალმა" დეპუტატებმა მერიაში გამოცხადებულ კონკურსს ისევ უნდობლობა გამოუცხადეს და აღნიშნავდნენ, რომ კონკურსი მხოლოდ ფორმალობა იყო. გამოცხადებულ ვაკანსიებზე დასანიშნი კადრები კი შერჩეული ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიამ კონკურსის პირველ ეტაპზე ვიცე-მერების თანამდებობებზე ოფიციალურად დაამტკიცა თენგიზ თოფურიძე, გია შარაბიძე და კოტე ლომიძე.

ამის შემდეგ კომისია მეორე ეპატზე გადავიდა, რაც სამსახურების უფროსების შერჩევას გულისხმობს.

მოგვიანებით საკრებულოს „ნაციონალი" წევრების მსგავსად, გაზეთ „P.S."-სთან საუბრისას კონკურსს ფორმალობა უწოდა ამავე კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა მღვდელაძემ. როგორც მღვდელაძე აღნიშნავდა, კომისიის მიერ მერის შერჩევა დროში გაწელილია, რაც ისევ და ისევ ქალაქისთვის არის საზიანო. ამიტომ, მისივე განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა კომისიის წევრები კონკურსის გარეშე ერთ კანდიდატზე შეჯერებულიყვნენ.

ამავდროულად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, ქუთაისელი შოთა მურღულიას დანიშვნა იგეგმებოდა. თვითონ მურღულია, რატომღაც ბოლო მომენტამდე ასაიდუმლოებდა და უარყოფდა ამ ინფორმაციას.

21 ნოემბერს კი მან საზოგადოება ფაქტის წინაშე დააყენა და ქუთაისის მერიაში ვიცე-მერის თანამდებობაზე გამოცხადდა. სწორედ ამ დღეს იწურებოდა შარაბიძის ვადა მერის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე და ამ მოვალეობის შესრულებაც ახალ ვიცე-მერს, შოთა მურღულიას დაეკისრა.

თუმცა, მანამდე გავრცელდა კულუარული ინფორმაცია, რომ „ზემოდან" კატეგორიულად მოითხოვეს ვიცე-მერების – თენგიზ თოფურიძისა და კოტე ლომიძის თანამდებობებიდან გათავისუფლება. ორივე ვიცე-მერმა თანამდებობა უკვე დატოვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ დღემდე ხელშეუხებელ ვიცე-მერად რჩება ნიკო კაჭკაჭიშვილი.

რომელსაც რატომღაც იმედი აქვს, რომ შოთა მურღულიაც მოინდომებს მასთან მუშაობის გაგრძელებას. თუმცა, საეჭვოა, რომ კაჭკაჭიშვილის იმედები გამართლდეს და კაკო ბობოხიძის დანატოვარი კაცი ახალი მერისთვის მისაღები აღმოჩნდეს.

რაც შეეხება უკვე წასულ ვიცე-მერს, თენგიზ თოფურიძეს, მან თანამდებობიდან წასვლის მიზეზად ქალაქის სათავეში ახალი გუნდის მოსვლა დაასახელა. მისივე თქმით, შოთა მურღულიასთან მისი ახლო ურთიერთობა ახალი გუნდის ჩამოყალიბებაში ხელის შემშლელი ფაქტორი იქნებოდა. ყოფილმა ვიცე-მერმა მერიის თანამშრომლებს და ჟურნალისტებს აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

თენგიზ თოფურიძის მიერ პოსტის შესაძლო დატოვების შესახებ ინფორმაცია psnews.ge-ზე ორი კვირის წინ გავრცელდა.

მიუხედავად იმისა, რომ მერის შესარჩევი კონკურსი, სავარაუდოდ, თვის ბოლოს გამოცხადდება, ქუთაისის მმშ-დ დანიშნულ მურღულიას ადგილობრივ თვითმმართველობაში უკვე მერად დანიშვნას ულოცავენ. ფაქტია, რომ კონკურსი ფორმალობა იქნება...

ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში მისულმა შოთა მურღულიამ კომენტარი პირველსავე სამუშაო დღეს გააკეთა და აღნიშნა, რომ ის ყოველთვის ქუთაისის მხარდამჭერი იყო და რომ ქუთაისი მისთვის საპატივცემულო ქალაქია. მაგრამ საპარლამენტო ქალაქში აღნიშნავენ, რომ დანიშნული მერი კი არა, რომელიც მხოლოდ მითითებებს შეასრულებს, არამედ არჩეული მერი სჭირდებათ.

არჩეული მერი კი ქუთაისს მომავალი წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად უსათუოდ ეყოლება.

ნესტან ჩაგელიშვილი

P.S.

შოთა მურღულია

ბიოგრაფიული მონაცემები

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად შოთა მურღულია 20 ნოემბერს დაინიშნა. მას ამ დრომდე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

შოთა მურღულია 1979 წლის 21 ოქტომბერს დაიბადა. 1997–2001 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და სამართლის ფაკულტეტზე. ასევე 2001-2003 წლებში პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გაიარა მაგისტრატურის კურსი.

1999 -2001 წლებში სწავლობდა ლუნებურგში (გერმანია) FH Nordostniedersachsen-ის უმაღლეს სასწავლებელში.

მშობლიურ ენასთან ერთად ფლობს: რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.

მუშაობდა საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრში კვლევის და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორად.

მურღულიას გააჩნია გამოცდილება სოციალურ-გარემოსდაცვით და მომხმარებელთა უფლებების ანალიზში, სემინარების ჩატარებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში. ევროკომისიის გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების კორდინირებაში.

შოთა მურღულია ასევე კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ბოლოს კი ფართო საზოგადოებამ მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გაიცნო.

შოთა მურღულია ღირსეული ქუთაისური ოჯახის შვილია, იგი არჩილ მურღულიას ძმის შვილიშვილია. არჩილ მურღულიას კარგად იცნობენ ქუთაისში, იგი ათეული წლების განმავლობაში იყო ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი. თავად შოთა მურღულიას ქუთაისის №1 საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული.

შოთა მურღულია ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, თუმცა კულუარებში მას უკვე ქალაქის მომავალ მერად მოიხსენიებენ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
მარიამ პატარაია

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ვინ ლაპარაკობს ყველაზე მეტს ქუთაისის მერიაში?

დაფინანსებული საუბარი პრივილეგიებით

ვინ და რამდენს ხარჯავს მობილური ტელეფონით სარგებლობისთვის და რა უჯდება ქუთაისის მერიას თანამშრომელთა სატელეფონო ხარჯების დაფარვა?

ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა მერიასა და ტერიტორიული მართვის ორგანოებში დასაქმებულ თანამშრომლებს სატელეფონო მომსახურების თანხებს ყოველთვიურად უნაზღაურებს, რაც ადმინისტრაციული ხარჯების არცთუ უმნიშვნელო ნაწილია.

ყოველი თვის დასაწყისში თანამშრომლებს ბალანსზე ლიმიტირებული თანხა ერიცხება. ლიმიტი როგორც თანამდებობების, ასევე, სამსახურების მიხედვით განსხვავებულია. სხვადასხვა სამსახურის უფროსი ყოველთვიურად განსხვავებული რაოდენობის თანხას ხარჯავს.

როგორც ირკვევა, მერიის სამსახურებს შორის ყველაზე მეტს ტრანსპორტის სამსახურის უფროსი საუბრობს. ნესტორ კეპულაძეს სატელეფონო ხარჯებისთვის ყოველთვიურად 80 ლარი ერიცხება, რაც მინიმუმ 30 ლარით აღემატება დანარჩენი სამსახურების უფროსების ხარჯებს. ამ მაჩვენებლით კეპულაძე მხოლოდ 20 ლარით ჩამორჩება ვიცე-მერებისთვის განსაზღვრულ ლიმიტს. ტრანსპორტის სამსახურში სატელეფონო ლიმიტით განსაზღვრული 150 ლარი შემდეგნაირად ნაწილდება: სამსახურის უფროსი – 80 ლარი, დანარჩენი 7 თანამშრომელი – 70 ლარი, ანუ თითოეულს 10 ლარი.

ყოველთვიურად ერთი და იგივე თანხას, 60 ლარს ხარჯავს ქალაქის თორმეტივე მუნიციპალიტეტი, თუმცა, როგორც ირკვევა, მათგან 4 მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თანხა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა იხდის, სრულად ირიცხება მხოლოდ თავმჯდომარეების ბალანსზე. კერძოდ, კახიანოურის, ნიკეას, ავტოქარხნისა და ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიული მართვის ორგანოების ხელმძღვანელები მუნიციპალიტეტებისთვის განსაზღვრულ 60 ლარს მხოლოდ საკუთარ ბალანსზე ირიცხავენ. ამ მუნიციპალიტეტებში სატელეფონო ხარჯებს არც ერთ თანამშრომელს არ უნაზღაურებენ.

სტაბილური 100 ლარია ვიცე-მერების სატელეფონო ლიმიტი, თუმცა ერთი გამონაკლისი აქაც არის, კერძოდ, მერის მეოთხე მოადგილეს, თენგიზ თოფურიძეს დანარჩენი სამი ვიცე-მერისგან განსხვავებით, ყოველთვიურად სატელეფონო მომსახურებისთვის გაორმაგებული თანხა – 200 ლარი ერიცხება.

როგორც შესყიდვების სამსახურში ამბობენ, სამსახურისთვის გამოყოფილ თანხას უფროსები საკუთარი შეხედულების მიხედვით ანაწილებენ. შესაბამისად, გამოდის, რომ კონკრეტული სამსახურის უფროსის „კეთილ ნებაზეა" დამოკიდებული, ისარგებლებენ თუ არა მისი თანამშრომლები წინასწარ დაფინანსებული სატელეფონო მომსახურებით.

გასულ წლებთან შედარებით, მერიამ სატელეფონო ხარჯები მნიშვნელოვნად შეამცირა. ზოგ შემთხვევებში თანამშრომლებს ლიმიტი გაუნახევრდა. მათ ნაწილს კი მერიამ სატელეფონო ხარჯების დაფარვაზე საერთოდ უარი უთხრა.

1110 ლარიდან 680 ლარამდეა შემცირებული მერიის ადმინისტრაციის ყოველთვიური დაფინანსება. მაგალითად, ადმინისტრაციული უფროსის მოადგილის შტატზე ლიმიტი 80 ლარიდან 20 ლარამდე შემცირდა. განახევრდა პრესსამსახურის თანამშრომელთა დაფინანსებაც. ახლა უკვე ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ყოველთვიურად განსაზღვრული თანხის რაოდენობა 20 ლარს არ აღემატება.

როგორც მერიაში ამბობენ, ლიმიტის შემცირების ხარჯზე სოლიდური თანხა უკვე დაზოგეს.

ბოლო მონაცემებით, ქუთაისის მერიისა და 12 მუნიციპალიტეტის 400-ზე მეტი თანამშრომლის სატელეფონო ხარჯები წლიურად, დაახლოებით, 43500 ლარს აღწევს, რაც, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში ამბობენ, წინა წლებში ამ მიზნით დახარჯული თანხების თითქმის ნახევარია.

მარიამ პატარაია

აქვს თუ არა სახელმწიფოს საავადმყოფოების დავალიანება?

საავადმყოფოების ხელმძღვანელობის ბრალდებებს ჯანდაცვის მინისტრი უარყოფს

პირველი გვერდიდან

თანამშრომლებისთვის თანხა მარტის შემდეგ არ გადაუხდიათ, მხოლოდ ჩვენი შიდა რესურსით მოვახერხეთ პერსონალისთვის ხელფასების დარიცხვა. ჩვენ ვაპირებთ, აღმასრულებელს გადავცეთ ამ სადაზღვევოების სიები და არაა გამორიცხული, მათთან სასამართლო დავაში შევიდეთ, რადგან ყველა ღონეს მივმართეთ, თუმცა, უშედეგოდ.

საავადმყოფოსა და სახელმწიფოს შორის შუამავალი, რომელიც თანხას საკუთარი მიზნებისთვის იყენებს, საჭირო არ არის. სახელმწიფო ყოველთვის იყო ყველაზე კარგი გადამხდელი. სადაზღვევოს საავადმყოფოების აშენებით არამომგებიანი კაპიტალდაბანდება გააკეთებინეს, რის გამოც გაკოტრების პირას არიან მისულნი. არ იყო სწორი საავადმყოფოს აშენება მთაში, მაგრამ მაშინ მთავარი იყო დასახული პროგრამა — 100 საავადმყოფო შესრულებულიყო. რაც შეეხება ახალ პროგრამას, მოულოდნელი აღმოჩნდა სახელმწიფოსთვის. ახლა ცდილობენ, როგორღაც დაფარონ დავალიანება, თუმცა გასაკვირია, რამდენიმე თვის წინ მინისტრმა რომ განაცხადა, 42 მილიონი ლარის მოგება გვაქვსო, ეს ყველაფერი რის ხარჯზე მოხდა, ანდა ამ თანხით, რატომ არ მოხდა დავალიანების დაფარვა და ექიმის ხელფასის მატება?



„P.S. ფოტო" ©

მამუკა მიქაძე

მიზერულ თანხაზე მუშაობს სამედიცინო პერსონალი, ალბათ ფიქრობენ, რომ ექიმები დიდ ფულს შოულობენ. საყოველთაო დაზღვევის პროგრამა

დავით სერგეენკო

შუა გზაზე არ უნდა გაჩერდეს, სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, რა სახის დაზღვევა უნდა დატოვოს — კერძო თუ სახელმწიფო. უნდა მიხვდეს, რომ ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. სამინისტროს ამ დროისთვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ხომ მაინც უნდა ჰქონდეს?"

***

„ბომონდის" დირექტორისგან განსხვავებით, საყოველთაო ჯანდაცვის მხოლოდ კარგ მხარეზე საუბრობს ლერი ხონელიძის სახელობის სამშობიარო სახლის სამეანო სამსახურის უფროსი **ნინო უგრეხელიძე.** როგორც უგრეხელიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში პაციენტთა მიმართვიანობა საგრძნობლად გაიზარდა, ოქტომბრის თვეში 125 მომლოგინე მიიღეს. მისივე განცხადებით, სახელმწიფოს საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში არანაირი დავალიანება არ აქვს.

ორთვიან დავალიანებაზე საუბრობენ რეგიონალური კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები, ასევე დასავლეთ საქართველოს ქუთაისის რეგიონალური ონკოლოგიური ცენტრის და სხვა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულების პერსონალი.

დავით სერგეენკო ყოველგვარ დავალიანებას უარყოფს...

საავადმყოფოს ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, დავალიანებას უარყოფს ჯანდაცვის მინისტრი. დავით სერგეენკოს განცხადებით, საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში სახელმწიფოს სავაადმყოფოების არანაირი დავალინება არ აქვს.

„საყოველთაო ჯანდაცვას საავადმყოფოების არანაირი დავალიანება არ გააჩნია, მით უმეტეს ისეთი მასიური, როგორც თქვენ ამბობთ. გადახდა მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოები წარმოგვედგინება მომდევნო თვის 12 რიცხვისთვის, შემდგომ ორი კვირის განმავლობაში ხდება შესრულებული სამუშაოების დამუშავება, რის შემდეგაც ჩვეულებრივად გაიცემა ხელფასები.

რაც შეეხება „ბომონდს", ჩემთვისაც გაუგებარი მიზეზის გამო, ბევრჯერ მკითხეს მის შესახებ. არადა, გადაზუსტებული მაქვს და დავალიანება არ არსებობს. იგივე შეეხება ონკოლოგიურს და სხვა საავადმყოფოებსაც.

კერძო კომპანიებმა უკვე დაიწყეს დავალიანებების დაფარვა, სოფლის ამბულატორიების ექიმებმა ხელფასი აგვისტოს ჩათვლით მიიღეს და მალე სრულად დაიფარება. იგივე შემიძლია გითხრათ საავადმყოფოების მიმართ არსებულ დავალიანებებზე," — აღნიშნა **დავით სერგეენკომ.**

მინისტრის თქმით, უახლოეს მომავალში სახელმწიფო ერთიან გადამხდელზე გადავა, რაც არსებულ პრობლემებს მთლიანად აღმოფხვრის.

ნესტან ჩაგელიშვილი

სოციალურად დაუცველი გადარჩენას ითხოვს

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ქუთაისში შალვა დადიანის ქუჩის №61ა-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ვენერა გიორგაძე შვილის გადარჩენას ითხოვს. 76 წლის პენსიონერი 47 წლის ავადმყოფ შვილთან ერთად ცხოვრობს, გელა (მამუკა) გიორგაძეს 15 წლიდან მიოპათიის (კუნთების სისუსტე) მწვავე ფორმა აქვს. ოჯახის განცხადებით, დახმარების თხოვნით ჯანდაცვის სამინისტროს და პარლამენტს 20 განცხადებით მიმართეს, თუმცა — უშედეგოდ.

„მე რომ მოვკვდე, რა ეშველება ჩემს შვილს? მინდა, რომ გამოჯანმრთელდეს და ფეხზე დადგეს და თავის თავს მიხედოს. პრეზიდენტს, პარლამენტს, სამინისტროს — ყველას მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ, ჩვენთვის არავის სცალია. დილით რომ ჩავსვამ ეტლში, მთელი დღე ასეა. გერმანიაში მკურნალობა სჭირდება, რისთვისაც მხოლოდ 15 000 ევროა საჭირო, ნუთუ არ შეუძლია სამინისტროს, რომ დაგვეხმაროს? რამდენჯერმე მივიღეთ გერმანული მხარისგან მიწვევა, მაგრამ ვერ მივდივართ. იმედია, თქვენი საშუალებით გაიგებენ ჩვენს შესახებ და დამეხმარებიან შვილის სიცოცხლის შენარჩუნებაში. მუშაობით ვერსად ვმუშაობ, პენსიით და სოციალური დახმარებით, რომელიც ისევ წამლებში გვჭირდება, ხომ არ დავიწყებთ ფულის დაგროვებას?" — აღნიშნავს **ვენერა გიორგაძე.**

გიორგაძეების განცხადებით, დახმარების თხოვნით მიმართეს ქუთაისის მაჟორიტარ-დეპუტატს გუბაზ სანიკიძეს, რომელმაც პარლამენტში უშუამდგომლა მათ, მაგრამ დადებითი პასუხი ამ დრომდე არ მიუღიათ.

„თუკი წელს ოპერაცია არ გავიკეთე, სამ წელიწადში ცოცხალი აღარ ვიქნები, სიცოცხლეს ვთხოვ, სხვას ხომ არაფერს, მინდა, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდე. ხან ვწევარ და ხან ეტლში ვზივარ, ჩემთვის ცხოვრება ამ ოთახში იწყება და აქვე მთავრდება. მზე ჩემთვის არ არსებობს, ჰაერი და გარესამყარო. საავადმყოფოები არ დამკლებია. 15 000 ევრო მჭირდება, რომ ვიცოცხლო. ვთხოვ ყველას, ვისაც შეუძლია, დამეხმაროს, 50 თეთრიც კი დიდი თანხაა. ვიცი, რომ ბევრი ადამიანი ითხოვს დახმარებას, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეძლოს, დაეხმაროს მის მოქალაქეებს, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემა აქვთ. ახალ მთავრობასაც მივმართე, ასევე პრეზიდენტს, ვიფიქრე წასვლის დროს სიკეთეს გააკეთებდა, მაგრამ იმედი ამჯერადაც გამიცრუვდა. ქალაქის მერიაშიც შევიტანე განცხადება, მაგრამ ვიცე-მერმა თენგიზ თოფურიძემ მითხრა, რომ ეს თვითმმართველობის საქმე არ იყო და განცხადება განხილვის გარეშე დამიბრუნეს უკან. ასევე, ამ წლების განმავლობაში მივმართეთ გია თევდორაძეს, კახა ნემსიწვერიძეს, გოჩა თევდორაძეს," — აღნიშნავს **გელა გიორგაძე.**

გიორგაძეებმა 2012 წელს, როდესაც ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი იყო, დახმარების სახით 5000 ევრო მიიღეს, თუმცა, ვინაიდან თანხა საკმარისი არ იყო, გელა გიორგაძემ გერმანიაში გამგზავრება ვერ შეძლო, რის გამოც გამოყოფილი თანხა სამინისტროს უკან დაუბრუნდა. მეორედ მიმართვის შემდეგ კი უარი მიიღო.

ნესტან ჩაგელიშვილი

რატომ დაიწუნა ქუთაისის საკრებულომ სპორტული აიპის 2014 წლის ბუჯეტის პროექტი?

ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა პრინციპით მოხდება მწვრთნელთა ხელფასის ზრდა

ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე მზად არის და საკრებულოს კომიტეტებს განსახილველად გადაეგზავნა. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია. თუმცა, გასული წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტთან შედარებით, სხვა პრიორიტეტებიც გამოიკვეთა.

საკრებულოს წევრებმა ბიუჯეტის პროექტიდან უკვე დაიწუნეს სპორტული აიპის მიერ წარდგენილი პროექტი. აიპის გაერთიანების ხელმძღვანელს, დავით აბულაძეს კი 25 ნოემბრამდე ახალი პროექტის წარდგენა დაევალა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის, მამუკა მღვდელაძის განცხადებით, სპორტული აიპის მმართველობამ გასული წლის ბიუჯეტის ანალოგი წარმოადგინა, რამაც ბიუჯეტის დაწუნება გამოიწვია.

„მომავალი წლის ბიუჯეტი გასულის წლის ბიუჯეტის ანალოგი იყო და მასში არანაირი პრიორიტეტები არ გამოკვეთილა. რაც მთავარია, მწვრთნელების ხელფასი არ იყო გაზრდილი, რის გამოც დაევალათ ბიუჯეტის ახლებური პროექტის წარმოდგენა. ვთვლი, რომ მწვრთნელები მიზერულ ხელფასზე არ უნდა მუშაობდნენ," — აღნიშნა **მამუკა მღვდელაძემ.**

მწვრთნელების დაბალ ხელფასზე საუბრობს მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ივანე ბუხაიძეც. როგორც ბუხაიძე აღნიშნავს, მისთვისაც გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით ხდება მწვრთნელებისთვის ხელფასის გადახდა.

„მე ვესწრებოდი ბიუჯეტის განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ სპორტული აიპები ჩვენს დაქვემდებარებაში არ არის, ვთვლი, რომ წარმოდგენილი პროექტი არ იყო მოთხოვნების შესაბამისი. სამწუხაროდ, წლების წინ მწვრთნელებს პედაგოგის სტატუსი მოეხსნათ, რის გამოც საათობრივ ანაზღაურებას ვერ იღებენ. ამ დრომდე ვერ ვხვდები, რა კრიტერიუმებით ხდება ხელფასის გამოთვლა, ხშირად ერთი და იგივე სტაჟის მწვრთნელს სხვადასხვა ხელფასი ჰქონდა. მიმაჩნია, რომ ანაზღაურებას მწვრთნელებს პირადი მოსაზრებების მიხედვით აძლევდნენ. მწვრთნელები, რომლებიც მსოფლიო დონის სპორტსმენებს ზრდიან, 140 და 170 ლარს იღებენ, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი. ამიტომ გამოვედით ინიციატივით, რომ ანაზღაურება საათობრივად მოხდეს. რეფორმა თავისთავად მტკივნეული იქნება მათთვის, ვინც ნაკლებს მუშაობს, მაგრამ სამართლიანი იქნება მათთვის, რომლებიც პირნათლად მუშაობენ," — აღნიშნა მერიის სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა.

არადა, გასულ თვეს მერიის სპორტის სამსახურის მიერ 9-თვიანი ანგარიშის წარდგენის დროს მერიის სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ სპორტულ აიპიში დასაქმებულ 250 მწვრთნელს სახელფასო ანაზღაურება გაეზრდებოდა.

პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე კი მოითხოვს, სპორტული აიპი საერთოდ გაუქმდეს, რადგან მისივე განცხადებით, აიპი მხოლოდ ფულის დასახარჯად არის შექმნილი, ვინაიდან მერიის სპორტის სამსახური უკვე ასრულებს იმ ფუნქციას, რაც აიპს ეკისრება.

საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის დაწუნებას არ ადასტურებს სპორტული აიპის მმართველი დავით აბულაძე. მისი განცხადებით, საკრებულოს წევრებს წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ ჰქონიათ და მხოლოდ მწვრთნელთა ხელფასის მატებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. აბულაძემ ასევე უარყო პირადი მოსაზრებებით მწვრთნელებისთვის ხელფასის გადახდა.

აბულაძის განცხადებით, ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტიდან სპორტული აიპის გაერთიანებისთვის 3 025 000 ლარია გამოყოფილი.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქუთაისში წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

ოქტომბრის ბოლოს ქუთაისში დაიწყო წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. აღნიშნულ სამუშაოებზე ნებართვა გასცა ქალაქ ქუთაისის მერიამ, რაზეც არსებობს მერის მოვალეობის შემსრულებლის თანხმობის წერილი №1-5747, თარიღით 30 აგვისტო 2013 წელი.

თავდაპირველად სამშენებლო სამუშაოები დაიწყო რეზერვუარის მშენებლობით ტელეანძასთან, ხოლო შემდგომ კიდევ 5 ქუჩაზე: ჯიბლაძეზე, ხახანაშვილზე, ბათუმის და გელათის ქუჩაზე, ასევე წერეთლის ქუჩის მე-4 შესახვევში. მიმდინარეობს რეზერვუარის მშენებლობა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე.

აღნიშნულ აქტივობებზე ვრცელი ინფორმაციის მიღების მიზნით პროექტის **„ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა"** (დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში) განმხორციელებელმა გუნდმა შეხვედრა ვთხოვეთ ქუთაისის სერვისცენტრის ხელმძღვანელს ბატონ **მიხეილ თათარაძეს**, რაზეც მივიღეთ თანხმობა და 1 ნოემბერს შეხვედრა გაიმართა ქუთაისის სერვისცენტრის ოფისში. ასევე ბატონმა მიხეილმა გვთხოვა, მოგვეწვია შეხვედრაზე წყალმომარაგების პროექტით დაინტერესებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რათა საზოგადოების უფრო ფართო სპექტრს მიეღო ვრცელი ინფორმაცია.

წყალმომარაგების სერვისცენტრის და სარეაბილიტაციო პროექტის განმხორციელებლების მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ:

მიხეილ თათარაძე — ქუთაისის სერვისცენტრის დირექტორი;

კოტე ოქროჭელიძე — სერვისცენტრის ტექნიკური მენეჯერი;

ბადრი ჩიტეიშვილი — სერვისცენტრის ოპერირებისა და მართვის ხელმძღვანელი;

ზაზა შავიძე — მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი;

აკაკი შუბითიძე — მშენებლობაზე ზედამხედველი ჯგუფის „ეპტისა"-ს ხელმძღვანელის მოადგილე.

მესამე სექტორიდან შეხვედრას დაესწრნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკურ, სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებზე.

შეხვედრა გახსნა სერვისცენტრის დირექტორმა **მიხეილ თათარაძემ,** რომელმაც ვრცლად ისაუბრა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ, მათი განხორციელების ვადებზე და დაგეგმილ შედეგებზე. მან აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელების ვადებია 2013 წლის 16 სექტემბრიდან 2016 წლის 16 მარტამდე, სამუშაოები ჩატარდება ქუთაისის 40-ზე მეტ ქუჩაზე, დამონტაჟდება 40 ათასი მრიცხველი, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ ქუთაისის წყალმომარაგების აბონენტთა 80% მიიღებს წყალს 24-საათიან რეჟიმში, ხოლო დანარჩენი 20% — 16-საათიან რეჟიმში. სერვისცენტრის ხელმძღვანელმა ისაუბრა იმ მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებზე, რომელსაც კომპანია განახორციელებს პროექტის მიმდინარეობის საინფორმაციო გაშუქების მიზნით.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა **აკაკი შუბითიძე** — „ეპტისა"-ს ზედამხედველობის ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე. მან აღნიშნა, რომ „ეპტისა"-მ გაიმარჯვა აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და ახორციელებს სამშენებლო სამუშაოთა მონიტორინგს მათ საბოლოო დასრულებამდე.

მისი ინფორმაციით:

ტენდერში გერმანული ფირმა „კოქსი"-ს მიერ მიმდინარეობს მუშა პროექტის და ნახაზების დამუშავება;

დაწყებულია სამუშაოები ქუთაისის 5 ქუჩაზე;

ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მიმდინარეობს არსებული რეზერვუარის დემონტაჟი და დასუფთავება;

კლდიაშვილის ქუჩაზე კეთდება 1 სატუმბი სადგური ორი ტუმბოსათვის არსებულ რეზერვუარზე (მუშა და რეზერვი), ახლა მიმდინარეობს გეოდეზიური სამუშაოები;

ტელეანძასთან რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები დროებით შეჩერდა, ხელახლა ჩატარდა გეოდეზიური სამუშაოები და ადგილი ეცვლება ახალი რეზერვუარის მდებარეობას ძველი რეზერვუარის დონეზე (355 მ), ძველი რეზერვუარი შეკეთდება. ამჟამად ისინი ელოდებიან ზუსტ კოორდინატებს, რომ დაიწყონ მშენებლობა.

შემდეგ შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, დასმული შეკითხვები ეხებოდა სამუშაოების ტექნიკურ და ფინანსურ მხარეს. ტექნიკურ საკითხებზე შეკითხვები დასვეს აშშ-ის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის გუნდის წევრებმა ზაზა ხელაძემ და ლაშა ჭელიძემ, ყველა შეკითხვაზე სერვისცენტრის ტექნიკურმა მენეჯერმა კოტე ოქროჭელიძემ გასცა დასაბუთებული პასუხი. ასევე მან გადმოგვცა იმ ქუჩების ჩამონათვალი (შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით - მილების დიამეტრი და სიგრძე), რომლებზეც ჩატარდება სამშენებლო სამუშაოები. რაც შეეხება სამუშაოების ფინანსურ მხარეს და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს წარმომადგენლის თეო ზაქარაშვილის მიერ დასმულ შეკითხვებს, სერვისცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე აუცილებელია მიმართვა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობაზე.

ქვემოთ უცვლელად მოგვყავს წყალმომარაგების სერვისცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ქალაქ ქუთაისში „კოქსი"-ს პროექტით შესაცვლელი ქსელების სიგრძეები და დიამეტრები.

№	ქუჩის დასახელება	სიგრძე (მ.)	დიამეტრი (მმ.)
1	ბათუმის ქუჩა	430	110
2	გელათის ქუჩა	810	160
	გელათის ქუჩა	860	180
	გელათის ქუჩა	1166	250
	გელათის ქუჩა	431	63
	გელათის ქუჩა	750	75
	გელათის ქუჩის II შ.	295	90
	გელათის ქუჩის II შ.	154	75
3	კიბულას ქუჩა	74	160
	კიბულას ქუჩა	599	110
	კიბულას ქუჩა	248	63
4	კლდიაშვილის ქუჩა	1400	160
	კლდიაშვილის ქუჩა	577	250
	კლდიაშვილის ქუჩა	266	200
	კლდიაშვილის ქუჩა	294	140
	კლდიაშვილის ქუჩა	171	180
	კლდიაშვილის ქუჩა	384	110
	კლდიაშვილის ქუჩა	997	90
	კლდიაშვილის ქუჩა	415	75
	კლდიაშვილის ქუჩა	250	63
5	რიონგესის ქუჩა	118	180
	რიონგესის ქუჩა	772	160
6	სოლომონ პირველის ქუჩა	597	225
	სოლომონ პირველის ქუჩა	150	280
	სოლომონ პირველის ქუჩა	296	250
	სოლომონ პირველის IV შ.	74	75
	სოლომონ პირველის IV შ.	60	63
	სოლომონ პირველის IV შ.	132	75
	სოლომონ პირველის VI შ.	205	110
7	კიბორძალიძის ქუჩა	159	75
8	სოლომონ მეორის ქუჩა	658	125
	სოლომონ მეორის ქუჩა	407	110
	სოლომონ მეორის ქუჩა	1218	90
	სოლომონ მეორის ქუჩა	417	75
	სოლომონ მეორის ქუჩა	418	63
9	კუპრაძის ქუჩა	1090	160
	კუპრაძის ქუჩა	408	110
	კუპრაძის ქუჩა	59	140
	კუპრაძის ქუჩა	177	90
	კუპრაძის ქუჩა	780	75
	კუპრაძის ქუჩა	452	63
10	26 მაისის ქუჩა	385	315
	26 მაისის ქუჩა	286	355
	26 მაისის ქუჩა	108	200
	26 მაისის ქუჩა	756	160
11	თბილისის ქუჩა	1069	200
12	ლესია უკრაინკას ქუჩა	192	140
13	ბადრიძის ქუჩა	187	75
	ბადრიძის ქუჩა	38	63
14	ევდოშვილის I შეს.	216	90
	ევდოშვილის I შეს.	61	63
15	წმინდა სამებას II შეს.	260	160
16	ერევნის ქუჩა	272	160
17	ყიფიანის ქუჩა	293	110
18	დიმიტრი თავდადებულის ქუჩა	137	110
	დიმიტრი თავდადებულის ქუჩა	217	75
	დიმიტრი თავდადებულის ქუჩა	250	63
19	ზარდალიშვილის ქუჩა	198	110
20	მიზანდარის ქუჩა	187	110
	მიზანდარის ქუჩა	62	90
	მიზანდარის ქუჩა	166	63
21	ნეკრასოვის ქუჩა	734	125
	ნეკრასოვის ქუჩა	352	110
22	ლესელიძის ქუჩა	2377	110
	ლესელიძის ქუჩა	96	160
	ლესელიძის ქუჩა I შეს.	556	110
	ლესელიძის ქუჩა I შეს.	187	75
	ლესელიძის ქუჩა V შეს.	826	160
	ლესელიძის ქუჩა VII შეს.	869	110
	ლესელიძის ქუჩა V ჩ.	167	75
	ლესელიძის ქუჩა V ჩ.	239	90
	ლესელიძის ქუჩა V ჩ.	141	63
24	მოსეშვილის ქუჩა	291	110
25	იერუსალიმის ქუჩა	198	75
26	ლერმონტოვის ქუჩა	182	160
	ლერმონტოვის ქუჩა	120	110
27	ფალიაშვილის ქუჩა	200	110
	ფალიაშვილის ქუჩა	190	315
	ფალიაშვილის ქუჩა	199	160
	ფალიაშვილის ქუჩის შეს.	143	160
	ფალიაშვილის ქუჩის შეს.	138	315
28	ვარლამიშვილის ქუჩა	275	140
29	თამარ მეფის ქუჩა	1444	160
	თამარ მეფის ქუჩა	55	225
30	პაოლო იაშვილის ქუჩა	210	140
	პაოლო იაშვილის ქუჩა	165	110
31	ჯიბლაძის ქუჩა	220	160
32	ხახანაშვილის ქუჩა	249	110
33	უზნაძის ქუჩა	267	90
34	როძევიჩის ქუჩა	273	110
35	შანიძის აღმართი	330	225
	შანიძის აღმართი	239	75
36	წერეთლის ქუჩის შესახვევები	255	90
	წერეთლის ქუჩის შესახვევები	653	75
	წერეთლის ქუჩის შესახვევები	115	63
37	განჯის ქუჩა	304	90
	განჯის ქუჩა	543	110
	განჯის ქუჩა	196	75
	განჯის ქუჩა	132	63
38	აღმაშენებლის ქუჩა	231	110
39	სადგურის ქუჩა	323	110
	სადგურის ქუჩა	170	75
	სადგურის ქუჩა	94	63
	კოღუაშვილის ქუჩა	-	225
	თეთრამიწიდან ჭომის ჩრდილოეთით	-	180
	თეთრამიწიდან კლდიაშვილამდე	-	250
	კლდიაშვილიდან ტელე ანძამდე	-	250
	ვაჟადან თეთრა მიწამდე	-	400
		39265	-

პროექტი „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდით მათ ნდობისა და მხარდაჭერისათვის.

ლაშა ჭელიძე

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi.
The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" და ა.ა.ი.პ. „ახალი სამოქალაქო აზროვნება +"-ის დირექტორი

„მოსახლეობას ექნება საშუალება თავისი საზოგადოებრივი ინტერესი საკრებულომდე მიიტანოს"

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საზოგადოების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს თვითმმართველობის ახალ კოდექსს აცნობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შეხვედრებს მართავს, რათა საზოგადოების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს თვითმმართველობის ახალი კოდექსი გააცნოს, რომლის მიხედვითაც უახლოეს მომავალში ქვეყანაში რეფორმა უნდა დაიწყოს.
საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი უკვე პარლამენტშია წარდგენილი და სავარაუდოდ, საშემოდგომო სესიაზე უნდა დამტკიცდეს.

რეგიონული მედიის და მესამე სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა

ახალი კოდექსის მიხედვით, რეფორმის ნაწილის განხორციელება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე უნდა მოესწროს, დანარჩენი ნაწილი კი, რამდენიმე წელზეა გათვლილი და ეტაპობრივ ცვლილებებს ითვალისწინებს.

თვითმმართველობის რეფორმის შედეგად გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და დღეს არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქთან ერთად, ეს სტატუსი დამატებით ცამეტ ქალაქს მიენიჭება. თვითმმართველი ქალაქების მიმდებარედ ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც მუნიციპალიტეტები ფორმირდება. თვითმმართველი ერთეულების — ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველი რგოლები არჩევითი იქნება.

გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, შეიქმნება კოლეგიალური ორგანო, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრები და ეს ორგანო ჩართული იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მხარის/რეგიონის დონეზე.

როგორც რეფორმის ინიციატორები განმარტავენ, კოდექსით ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რაც სოფლების მცხოვრებთა საჭიროებების გამოვლენას და მათ გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

კანონპროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ რეფორმის შედეგად, ქვეყნის მასშტაბით მოხდება ქალაქებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად დაუახლოვდება საკუთარ მოსახლეობას, რაც გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის დონეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებით პარლამენტში წარდგენილი თვითმმართველობის კანონპროექტებზე მომხსენებლადაა დანიშნული, ამბობს: *„რაიონებში მუნიციპალიტეტის დონეზე უნდა შეიქმნას მთავრობა, რომელიც, ფაქტობრივად, მუნიციპალური ხელისუფლება იქნება. სწორედ ეს ხელისუფლება მოსახლეობის პრობლემატურ საკითხებს არა თბილისში, არამედ ადგილობრივ დონეზე, რაიონში გადაწყვეტს.*

ამ კოდექსით მოხდება ტერიტორიული თვითმმართველობის ოპტიმიზაცია, რაც გამოიხატება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდაში და შემდგომ, ახალი თემების ფორმირებაში. ეს რამდენიმეწლიანი პროცესია.

სოფლის და ქალაქის მოსახლეობას ექნება საშუალება, თავისი საზოგადოებრივი ინტერესები საკრებულომდე მიიტანოს.

კოდექსის პროექტით განისაზღვრა გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, მუნიციპალიტეტების გაერთიანების ფორმირება, რომელსაც კოლეგიალური ორგანო ეყოლება; ასევე, გათვალისწინებულია რეგიონებზე ცალკეული ფუნქციების გადაცემა; ისეთი ფუნქციების, რომლებიც ასოცირებულია შიდა გზების ნაწილთან, ასევე ინფრასტრუქტურის საკითხებთან, სოციალურ საკითხებთან და ა.შ. ამასთან, განისაზღვრა როგორ ფუნქციონირებს სწავლების სისტემა, მოხელეთა საშტატო ერთეულებთან დაკავშირებული საკითხები — თუ როგორ შეიძლება ოპტიმალური იყოს საშტატო ერთეულების და ხარჯების ნაწილი", — ამბობს **შერგელაშვილი.**

შეხვედრა ზუგდიდში

რაც შეხება გუბერნატორის ინსტიტუტს; საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილს შენიშვნები ჰქონდა, რომ ახალ კოდექსში ეს ინსტიტუტი აღარ უნდა დარჩეს. შერგელაშვილი ამბობს, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმებას საკონსტიტუციო ცვლილება სჭირდება, რაც ამ ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

„გუბერნატორის ინსტიტუტი კონსტიტუციით არის განსაზღვრული და ეს კანონი ამას ვერაფრით შეცვლიდა. სანამ კონსტიტუციაში არსებობს გუბერნატორის ინსტიტუტი, ასევე დარჩება. თუ კონსტიტუციაში შეიცვლება ეს ნაწილი (რის გამოც, როგორც მე ვიცი, საკონსტიტუციო კომისია უკვე იქმნება), შესაბამისად, ამ კანონშიც შეიცვლება", — ამბობს **შერგელაშვილი.**

შეხვედრაზე, რომელიც რეგიონული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შედგა, არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა SIDA-მ, 30-მდე შენიშვნა და რეკომენდაცია წარმოადგინა.

„რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომელშიც 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული, მოვამზადეთ შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც სამინისტროს წარმომადგენლებს გავაცანით. მიგვაჩნია, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის შენარჩუნება არ იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც კოდექსის ამ ვერსიით ისევ არის შემოთავაზებული. ასევე, მიგვაჩნია, რომ რეგიონი ანუ ე.წ. მუნიციპალიტეტების გაერთიანება საკუთარი კომპეტენციებით მაქსიმალურად უნდა იყოს გამიჯნული მუნიციპალიტეტისგან, რათა რეალური თვითმმართველობა განხორციელდეს.

შეხვედრა ზუგდიდში

ეს გაერთიანება თვითმმართველობის კოდექსის ერთ-ერთი სიახლეა და მისმა ამოქმედებამ, მუნიციპალურ დონეზე თვითმმართველობის დაკნინება არ უნდა გამოიწვიოს. ასევე, ბუნდოვანია მუნიციპალიტეტების ქონებრივი და ფინანსური საკითხები. ამასთან, მიგვაჩნია, რომ თვითმმართველ ქალაქებში სასურველია შემოვიდეს საუბნო საბჭოების სისტემა და არა საზოგადოებრივი საბჭოები; ასევე, ვფიქრობთ, რომ უფრო მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი თვითმმართველობის მოქალაქეებთან ანგარიშგების საკითხები", — ამბობს გაერთიანების წარმომადგენელი **ზვიად დევდარიანი.**

ამავე შეხვედრაზე **საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელმა ია მამალაძემ** თქვა, რომ რეალური თვითმმართველობის განხორციელება ეფუძნება სახელისუფლებო ნებას, თუმცა პრინციპები, რომლებიც რეალურ თვითმმართველობას დაამკვიდრებს, ფართო საზოგადოების შეთანხმების საგანი უნდა იყოს; ამიტომ, ყველა შენიშვნა თუ ალტერნატიული მოსაზრება დაწვრილებითი უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პროექტის გაცნობის მიზნით, უკვე შეხვდა თბილისის, გორის საკრებულოს წევრებსა და მერიის წარმომადგენლებს, თვითმმართველობაში მომუშავე ქალთა ქსელს, საზოგადოებას ზუგდიდში, ოზურგეთში. შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება.

მოამზადა
თამთა კაკაურიძემ

მოამზადა საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრმა (GMMC) ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველოს" მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.
ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტი 80 წლისაა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტი გამორჩეულ საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა, რომელმაც არაერთი სახელოვანი სტუდენტი აღზარდა და დღემდე აქტიურად თანამშრომლობს უცხო ქვეყნების სასწავლებლებთანაც.

იუბილეს უნივერსიტეტი მთელი წლის მანძილზე აღნიშნავდა. ჩატარდა არაერთი ღონისძიება, გამოფენა, შემოქმედებითი საღამო, სპორტული ტურნირი და ა.შ. დასკვნითი საიუბილეო კვირეული კი განსაკუთრებული ღონისძიებებით აღინიშნა.

ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები. მათ იუბილეს ფარგლებში საკუთარი ხელით შექმნილი ნამუშევრების არაერთი გამოფენა მოაწყვეს.

დასკვნით ღონისძიებაზე მესხიშვილის თეატრში წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა კლასიკური, საესტრადო და ხალხური მუსიკის ნომრები წარმოადგინეს.

კონცერტს ესწრებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეული რექტორები, რომლებმაც უნივერსიტეტს იუბილე მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

„ჩვენ მთელი წელი მივუძღვენით ამ იუბილეს. ამ დროის განმავლობაში, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, მთელი წლის მანძილზე, დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება. მათ შეასრულეს საკონცერტო ნომრები. ძალიან ბევრი სტუმარი გვყავდა და მათ კიდევ უკეთ გავაცანით ჩვენი უნივერსიტეტი,“ — განაცხადა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორმა **გიორგი ღავთაძემ.**

უნივერსიტეტს იუბილე მიულოცა ქუთაისის ახლადდანიშნულმა მერმა. შოთა მურღულიას განცხადებით, „ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის ამ უნივერსიტეტის არსებობა, აქ უმაღლესი ხარისხის განათლებას იღებენ ახალგაზრდები. მათ შორის მრავლად არიან უცხოელი სტუდენტებიც. ვულოცავ ამ დღესასწაულს მთელ კოლექტივს.“

კონცერტის ბოლოს უნივერსიტეტის ჰიმნის პრეზენტაცია გაიმართა. ჰიმნის ავტორია კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი.

„ამ ჰიმნზე სამი კვირის განმავლობაში ვმუშაობდით. მოხარული ვარ, რომ მე მომანდეს ეს დიდი პასუხისმგებლობა. ძალიან მიყვარს ქუთაისი, მიყვარს მისი თითოეული მცხოვრები, ვულოცავ უნივერსიტეტს იუბილეს,“ — განაცხადა **მარიკა კვალიაშვილმა.**

დასკვნით საიუბილეო კონცერტს პროფესორ-მასწავლებლები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ჟანა ჯანელიძე

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას, შესაძლოა, ახალი კორპუსი დაემატოს

ნარგიზა ჩოგოვაძე: „მეშინია, წვიმა არ ჩამოვიდეს და წიგნები არ გამიფუჭოს“

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკას დაარსებიდან 140 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღს ბიბლიოთეკა მიღწევებთან ერთად პრობლემებით ხვდება. მე-19 საუკუნეში აგებული შენობა, სადაც სამკითხველო დარბაზები 140 წლის წინ განთავსდა, დიდი ხანია ამორტიზებულია და ლოკალურ შეკეთებას აღარ ექვემდებარება. დაბზარული კედლებიდან ბათქაში ცვივა, რამდენიმე ადგილას კი მშენებლობის პირველადი იერსახე – აგურები მოჩანს.

„P.S.ფოტო“ ©

ნარგიზა ჩოგოვაძე

შენობა დიდი ხანია მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს, თუმცა მთავარი, რაც ბიბლიოთეკის გამართული მუშაობისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს, არასაკმარისი ფართია. შენობაში, სადაც რამდენიმე განყოფილება, სამკითხველო დარბაზები და მილიონზე მეტი წიგნია, სარესტავრაციო, ბიბლიოგრაფიული თუ სხვა სახის სამუშაოებისთვის გამოყოფილი ოთახები მცირე მოცულობისაა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სამუშაო პროცესს.

„მაგიდის დასადგმელი ადგილიც არ არის, უნიკალურ წიგნებს რესტავრაცია რომ ჩავუტაროთ. გაზეთ „ივერიას“, რომელიც სხვა პერიოდული გამოცემებისგან განსხვავებით, დიდი ფორმატისაა, ვერსად ვერ ვდებთ, რადგან ოთახში ადგილი არ არის, რომ დიდი მაგიდა შევიტანოთ. ელექტრონული კატალოგის შექმნა დავიწყეთ უკვე, მაგრამ ეს იმდენად შრომატევადი საქმეა, რომ თანამშრომლების დამატება გვინდა, მაგრამ სად დავსვათ ეს ხალხი? რამდენიმე კვადრატულ ოთახში 6-7 ადამიანი მუშაობს და სუნთქვა აღარ შეიძლება, ისეთი მდგომარეობაა,“ — ამბობს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი **ნარგიზა ჩოგოვაძე.**

გაფართოების მიზნით ნარგიზა ჩოგოვაძე შენობის მიმდებარედ არსებული კორპუსების ბიბლიოთეკისთვის გადაცემას ითხოვს, თუმცა, რომელი და რამდენი კორპუსი უნდა შეუერთდეს ბიბლიოთეკას, დირექტორი არ აკონკრეტებს, ამბობს მხოლოდ იმას, რომ მან ეს საკითხი კულტურის მინისტრის ქუთაისში ვიზიტის დროსაც დააყენა, თუმცა პრობლემა, ჯერჯერობით, გადაუჭრელია.

გაფართოების აუცილებლობაზე ნარგიზა ჩოგოვაძემ ბიბლიოთეკის საიუბილეო საღამოზეც ისაუბრა და პრობლემის გადაწყვეტისთვის მხარდაჭერისკენ ადგილობრივ ხელისუფლებასაც მოუწოდა.

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ბიბლიოთეკას იმავე ქუჩაზე მდებარე რამდენიმე კორპუსი სარგებლობაში გადაეცემა, წიგნსაცავი ადგილს არ შეიცვლის, ადმინისტრაცია და განყოფილებები კი შესაძლოა, ცალკე შენობაში განთავსდეს.

***

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 1873 წელს საზოგადო მოღვაწის, ანტონ ლორთქიფანიძის ხელშეწყობით დაარსდა. პირველი წიგნები საჯარო ბიბლიოთეკას სწორედ მან გადასცა. საადგილმამულო ბანკის მმართველის ხელმოწერით ბიბლიოთეკისთვის ნაჩუქარი 1500 წიგნიდან რამდენიმე მათგანი კვლავ წიგნთსაცავში ინახება. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა მილიონზე მეტ სამეცნიერო, მხატვრულ, საგანმანათლებლო თუ სხვა სახის ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემას ინახავს, მათ შორის — იშვიათ გამოცემებსაც.

ბოლო ხუთი წელია, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობს.

მარიამ პატარაია

psnews.ge

მადლობა

ბატონ მერაბ კვიცარიძეს – ქალაქის №1 პოლიკლინიკის დირექტორს

წუთისოფლის ჯანღს და
ბურანს
ლექსის შუქით ამზიანებს,
დარდს და ვარამს გაუხუნარ
იუმორით დაგიამებს,
აბზე უკეთ სიტყვით კურნავს
პაციენტის ნაიარევს,
წესადა აქვს: მადლი ჩუმად
დადევი და... გაიარე!
გამორჩეულ ნიჭს და უნარს
(უფლის კალთით ნაზიარებს)
სადაც ნახავს, ვაჟკაცურად
მუხლს უდრეკს და...
... აღიარებს!

ა. ნაპირელი

მილოცვა

ეკატერინე გამედოვს!

ეკატერინე (ეკუნა), ჩემო პირველო სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს 29 ნოემბერს და პირველკლასელობას. დაესწარი მრავალს დედ-მამით, დედმამიშვილებით, ბებიათი და ყველა კარგის მსურველით.

ნანი ბებია

ქუთაისში შესაძლოა, საუკუნოვან წყაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოს

საფიჩხიელები „აბაშიძის წყაროს“ გადარჩენას ითხოვენ

თითქმის საუკუნეა, ქუთაისში, საფიჩხიის უბანში, მცირე ზომის წყარო არსებობს, რომელიც საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია. წყაროს, რომელიც შეუსწავლელ ძეგლთა კატეგორიას მიეკუთვნება, წლების წინ საფიჩხიის მოსახლეობა აქტიურად იყენებდა. მაშინ, როცა ქალაქში წყალსადენი არ არსებობდა, წყაროს წყალს საფიჩხიელებისთვის მთავარი საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდა.

ასე გამოიყურება დღეს „აბაშიძის წყარო“

„აბაშიძეების წყაროს“ სახელით ცნობილი საუკუნოვანი წყარო არქიტექტურულადაც გამორჩეულია. 16 კვადრატული მეტრი სათავე ნაგებობა ქვის წყობითაა ამოყვანილი. წყაროსთან ჩასასვლელი კიბეები კი თლილი ქვებითაა გაკეთებული.

1916 წლით დათარიღებული „აბაშიძეების“ წყარო რამდენიმე ათეული წელია, დაზიანებულია და იგი სასმელად აღარ გამოიყენება. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მისი არსებობაც კი არ იცის, თუმცა, საფიჩხიაზე წყაროც და მისი სასიცოცხლო მნიშვნელობაც კარგად იციან.

„დაახლოებით 20 წლის წინ, ჯერ კიდევ ვიყენებდით ამ წყაროს წყალს, მაგრამ მერე დაზიანდა, მისი შემკეთებელი კი არავინ გამოჩნდა. უცნაურად რბილი გემო ჰქონდა წყალს და როგორც წესი, ხისტი არ იყო. მართალია, ხანდახან წურბელები მოჰყვებოდა, მაგრამ ჭურში ვასხამდით და ცოტაოდენ შაბს ან ნახშირს ვუმატებდით, რის შემდეგაც სასმელად ვარგისი იყო. გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზი და გამორჩეული არქიტექტურა აქვს, ლამის 100 წლისაა და ნამდვილად არ უნდა დაიკარგოს ასე უბრალოდ. მისი გაწმენდა და აღდგენაა საჭირო“, — ამბობს სოლომონ მეორეს ქუჩის მცხოვრები **ალბერტ ქვარიანი.**

როგორც ირკვევა, მოსახლეობამ წყაროს აღდგენის მოთხოვნით ადგილობრივ თვითმმართველობასაც მიმართა, თუმცა, არათუ შეკეთება, არამედ შესაბამისმა სამსახურმა წყაროზე ინფორმაციის მოძიებაც არ მოისურვა.

როგორც ირკვევა, წყაროს აღდგენის მოთხოვნით მერიაში შეტანილი განცხადება კეთილმოწყობის სამსახურს გადაეგზავნა, თუმცა, სამსახურში საფიჩხიის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება ამ დრომდე არ განუხილავთ. უფრო მეტიც, სამსახურის უფროსი ამბობს, რომ ამ საკითხზე მასთან განცხადება არ შესულა.

„ზუსტად ვიცი, რომ მსგავსი მოთხოვნის შესახებ არანაირი წერილი არ შემოსულა. თქვენგან მსმენია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები იყო ჩასატარებელი, თუმცა, ჩემი ინფორმაციით სულ რამდენიმე აგურის დამატებაა იქ საჭირო, რაც მოსახლეობას საკუთარი ძალებითაც შეეძლო, მოეგვარებია,“ — ამბობს კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი **ზურაბ ზამბახიძე.**

მერიის საქმიანი წერილების განყოფილებაში კი საფიჩხიის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება კეთლმოწყობის სამსახურის უფროსის ზურაბ ზამბახიძის სახელზე მიმდინარე წლის 20 აგვისტოსაა (№01-6405) დაწერილი.

სოლომონ მეორის ქუჩაზე არსებული უცნობი წყაროს შესწავლა ქუთაისის კულტურის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ ახლახანს დაიწყო. როგორც სამსახურში ამბობენ, ადგილობრივი თვითმმართველობა აქამდე უნდა დაინტერესებულიყო ამ ნაგებობით, რომელსაც ამ დრომდე არ აქვს ძეგლის სტატუსი მინიჭებული.

„აბაშიძეების წყაროს“ შესახებ დეტალური ინფორმაცია შევაგროვეთ. ის მართლაც გამორჩეულია თავისი ისტორიით და ასაკით. ახლა ცნობებს ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს გადავუგზავნით და იმედი გვაქვს, რომ წყაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭება,“ — ამბობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ვიკა ჩოგოვაძე.**

წყარო უკვე დაათვალიერეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის წარმომადგენლებმა.

მარიამ პატარაია

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ემოციური იქნებით, ოცნება შეიძლება რეალობად გექცეთ. რაც დაგეგმილი გაქვთ შეასრულეთ.

კურო: აუცილებლად შეინარჩუნეთ შინაგანი სიმშვიდე. რაც არ უნდა მოხდეს, არ მიაქციოთ ყურადღება.

ტყუპები: საკუთარი მიზნების მისაღწევად შეეცადეთ, მონახოთ თანამოაზრენი. ენდეთ თქვენს გონებასა და ინტუიციას, მაშინ კი თქვენს სურვილებს, გზას ვერავინ და ვერაფერი გადაუღობავს.

კირჩხიბი: ნუ იქნებით ამბიციური. თუ სწორ დასკვნებს გამოიტანთ და სწორად შეაფასებთ მოვლენებს, წარმატებას სწრაფად მიაღწევთ. გაიგებთ სასიამოვნო ამბავს.

ლომი: შესანიშნავი დროა საქმიანი შეხვედრებისათვის. გაითვალისწინეთ ის ადამიანი, ვინც მხარში გიდგათ. მოერიდეთ მწარე და მარილიან საჭმელებს.

ქალწული: მთელი კვირის განმავლობაში მოგიწევთ ურთიერთობების მოწესრიგება მშობლებთან ან უფროსებთან. შესაძლოა, მიიღოთ ძალიან სოლიდური შემოსავალი, რომლის დახარჯვასაც მაშინვე არ გირჩევთ.

სასწორი: ფულის შოვნის არაჩვეულებრივი შანსი მოგეცემათ. ნუ გაუშვებთ მას ხელიდან. თქვენს წარმატებულ კარიერას მხოლოდ გაუწონასწორებელმა ხასიათმა შეიძლება შეუშალოს ხელი. თუ ემოციებს ვერ იმორჩილებთ, ჯობს ხელმძღვანელობასთან პოლემიკას მოერიდოთ.

მორიელი: ყურადღების ცენტრში იქნებით. თქვენით ყველგან აღფრთოვანებულები იქნებიან. ამიტომ იყავით აქტიური, თამამად განახორციელეთ დასახული გეგმები. პირად ცხოვრებაში რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.

მშვილდოსანი: მხოლოდ გრძელი და ხარისხიანი სამუშაო მოგიტანთ შედეგებს. ოჯახური ურთიერთობები მცირე ხნით უკანა პლანზე გადავა. სიფრთხილე გამოიჩინეთ სასიყვარულო ისტორიებში.

თხის რქა: მოთმინებით აღიჭურვეთ და დაიცადეთ, ვიდრე ბედის ქალღმერთი კვლავ ღიმილით შემოგხედავთ. დრო ბევრი გაქვთ. შეგიძლიათ შორს გამიზნულ საქმეს მოჰკიდოთ ხელი.

მერწყული: წარმატებული დღეები გელით. ყურადღება გაამახვილეთ პროფესიულ საკითხებზე. დრო თქვენთვის საინტერესო საზოგადოებაში გაატარეთ. კარგი იქნება, თუ მხიარულ წვეულებას მოაწყობთ. რადიკალურ ნაბიჯებს ერიდეთ.

თევზები: კრიტიკულ მდგომარეობაში ხართ, ასე გგონიათ ბედმა ზურგი გაქციათ. ფარ-ხმალს ნუ დაყრით, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თაროზულად: 3. არანტეს; 5. კრავი; 6. უფა; 8. ასო; 9. მაკაო; 11. ალაზანი.
შვეულად: 1. ხალვა; 2. შტო; 3. აგრესია; 4. საფლავი; 7. კაკაო; 10. ლას.

ქუთაისის საკრებულოს მუშაობას გამოკითხულთა 27% უარყოფითად აფასებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ასა-ს“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქუთაისის მოსახლეობის მხოლოდ 26% აფასებს საკრებულოს მუშაობას დადებითად. 47% მიიჩნევს, რომ დეპუტატებმა საშუალოდ იმუშავეს, 27% კი თავისი მაჟორიტარის საქმიანობით უკმაყოფილოა.
რა როლი აქვს თითოეულ მოქალაქეს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების ეფექტურ განხორციელებაში და რატომ არის გართულებული თვითმმართველი ქალაქის მცხოვრებლებისთვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისის მიღება, როგორიცაა წყალმომარაგება, გაზმომარაგება, ენერგომომარაგება და სხვა?

„ასა-მ“ თვითმმართველობის საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის მნიშვნელობასა და ინფორმირების დონის ამაღლების აუცილებლობაზე ჟურნალისტებისთვის სემინარი ჩაატარა.

როგორც სემინარზე აღინიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ საზოგადოების ინფორმირების დონე ძალიან დაბალია. ხშირ შემთხვევაში საზოგადოება ვერ ერკვევა თვითმმართველობის ფუნქციებში. მოქალაქემ არ იცის, ვის უნდა მიმართოს პრობლემის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, მას არ აქვს პროცესების მართვის და ჩართულობის ვალდებულების განცდა. ეს კი, თავის მხრივ, თვითმმართველობის არაეფექტურ მუშაობას განაპირობებს.

მოსახლეობის პასიურობის, როგორც ეფექტური მმართველობის განხორციელების მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორზე საუბრის პარალელურად, მომხსენებლებმა თვითმმართველობის შესახებ კანონის ბუნდოვანებაზეც ისაუბრეს, რაც, მათი თქმით, მმართველობის დონეებს შორის (ცენტრალური ხელისუფლება და თვითმმართველობა) ფუნქციების არასწორი განაწილების შესაძლებლობას იძლევა.

„ქუთაისის ხელისუფლებამ უარი თქვა ქალაქისთვის ისეთი სასიცოცხლო საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა წყალმომარაგება და კანალიზაცია, მაშინ, როცა დაეთანხმა პარლამენტის მშენებლობის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე და ამისთვის ადგილობრივი სახსრები დახარჯა. ფუნქცია-მოვალეობების არასწორად გაგებამ კი შედეგად მოიტანა ის, რომ ქალაქის მოსახლეობის 30%-ზე მეტი საკანალიზაციო ქსელით ვერ სარგებლობს,“ – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ასა-ს“ ხელმძღვანელმა **ზაზა ხელაძემ.**

სემინარის ბოლოს აქცენტი გაკეთდა თვითმმართველობის ფუნქციების ცოდნის ამაღლებაზე, როგორც თვითმმართველობის არჩევნების ეფექტურად ჩატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე.

სემინარი თემაზე: „მოვემზადოთ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“ ჩატარდა პროექტის „ქუთაისელები ითხოვენ მეტ ინფორმირებულობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ასა“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

მარიამ პატარაია

პარლამენტის თბილისში დაბრუნებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმაც არ დაუჭირეს მხარი?

იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის, ამირან ძოწენიძის განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობამ, მიუხედავად მცდელობისა, ვერ მოახერხა იმ საჭირო ორი ხმის მოპოვება, რომელიც იყო აუცილებელი პარლამენტის თბილისში დასაბრუნებლად. მისივე განცხადებით, ახალი კონსტიტუციით, რომელიც ძალაში პრეზიდენტის ინაუგურაციის მომენტიდან შევიდა, პარლამენტის ადგილმდებარეობის განსასაზღვრად 113 ხმაა საჭირო.

„საბედნიეროდ, უმრავლესობამ ვერც შანტაჟით და ვერც ზეწოლით ვერ მოახერხა იმ ხმების მოპოვება, რომელიც პარლამენტის გადასატანად იყო საჭირო. მინდა მივულოცო ქუთაისელებს, რომ პარლამენტის დასამარების მცდელობა შეჩერდა და, იმედია, სამუდამოდ. საპარლამენტო უმრავლესობას გაუჭირდება 15 ხმის მოპოვება, მათ სურდათ, მივლინებების სახით თბილისში მუშაობა, რითაც ქუთაისში მდებარე პარლამენტს მხოლოდ ფორმალობად აქცევდნენ, მაგრამ კანონის მიხედვით, სხვაგან მიღებულ კანონს იურიდიული ძალა არ აქვს. ზედმეტი ხარჯებით აპელირებაც არგუმენტებს არის მოკლებული, რადგან პარლამენტის შენახვა თბილისში გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ქუთაისში. გამოაქვეყნონ ხარჯები და ყველაფერი ცხადი გახდება,“ — აღნიშნა ძოწენიძემ, რომელმაც 52 დეპუტატს, რომლებიც პარლამენტის ქუთაისში დარჩენის მომხრეები იყვნენ, მადლობა გადაუხადა.

მისივე განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობა პარლამენტის გადატანის საკითხში ერთსულოვანი არ იყო, რადგან საკანონმდებლო ორგანოს ადგილმდებარეობის დადგენისას უმრავლესობას 98 ხმაც არ ჰქონდა, რის გამოც ვერ მოახერხეს პარლამენტის თბილისში დაბრუნება. ახალი კანონმდებლობით კი, პარლამენტის გადასატანად 113 ხმაა საჭირო.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

პარლამენტარი **გოგი თოფაძე** მხოლოდ **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გიორგი მარგველაშვილი

„ეს აგაშენებთ ამას იქითა,“— თქვა ბიძინამ და... ჩაიხითხითა.
ნანი გორგიძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ბერძნული ცეკვა; 5. სუბტროპიკული კურკიანი ხილი; 6. ქალაქი ნიგერიაში; 8. მადონას ერთ-ერთი ქმარი ... რიჩი; 9. აიეტის ქალიშვილი; 11. შინაური ფრინველი.
ვერტიკალურად: 1. ნიდერლანდების კუნძული სამხრ. ამერიკასთან; 2. მდინარე ერაყში ... ელ—არაბი; 3. თავშესაფარი თხრილი ფრონტის ხაზზე; 4. ქვეყანა აზიაში; 7. ქალაქი და ნავსადგური იტალიაში; 10. მწვერვალი საბერძნეთში (2456 მ.).



წიგნების მაღაზია ქიმერიონი

qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;

• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;

• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;

• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;

• ენციკლოპედიები;

• ლექსიკონები;

• ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (431) 274 474

იმერი

IMERI TEXTILE COMPANY

სამკერვალო კომპანია

სამკერვალო კომპანია **„იმერში“** მზადდება ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ფართო ასორტიმენტი:

• პიჯაკი
• ქვედა კაბა
• შარვალი
• პერანგი | მაისური | შორტი
• პალტო | ნახევარპალტო | ქურთუკი | ლაბადა | ჟილეტი
• სამხედრო უნიფორმა
• სასკოლო უნიფორმა
• სხვადასხვა ტიპის სამუშაო ტანსაცმელი

კომპანია **„იმერი“** წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ცნობილ ქართველ დიზაინერ **ავთანდილ ცქვიტინიძესთან**.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ლადო ასათიანის №119;

ტელეფონი:
+995 431 22 07 08
ელ.ფოსტა: office@imeri.ge
ვებ-გვერდი: www.imeri.ge

მოდის სახლი „მარიონელა“

ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები

თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
ტელ.: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
ტელ.: +995 (431) 25-31-21

ელ-ფოსტა:
marionela@mail.ru

www.marionela.ge

აია

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

ლიმონათი „აია“ – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი:
„მსხალი“, „ლიმონი“, „ტარხუნა“, „ფორთოხალი“, „ატამი“, „დაფნა“, „ალუბალი“, „ნაღები“, „საფერავი“, „მარწყვი“, „შოკოლადი“.

„აიას“ ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.

ლუდი „აია“ – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი.
ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.
მიირთვით „აიას“ პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8
ტელეფონი:
(0 431) 22 01 94;
22 30 31; 22 40 05

ცხვირის ქირურგიული ცენტრი

თემურ ძიძიგური — ცხვირის და ყურის ქირურგი

კეთდება ოპერაციები:

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

ტელეფონი: (0 431) 22-31-02; **მობ.**: (599) 53-69-64; (599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.



სამშენებლო კომპანია ტობე

ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე“ აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყლის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს.
ყველა სახის, წინასწარ დაძაბავ კონსტრუქციებს.
შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

მისამართი: ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

ტელეფონი:
(0 431) 23-60-60; 26-74-37

მობილური:
(5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა

კავკასუს როუდ პროჯექტ

სიახლე!
საავგარაკე მობილური სახლი (63 მ²):
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
ტელეფონი: (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27

ქართული თხილის გადამამუშავებელი საწარმო

„იმერნათი“

ექსპორტი ევროპის ქვეყნებში;

მოხალული თხილის გული შიდა ბაზრისთვის;

ადგილობრივი თხილის შესყიდვა მისაღებ ფასში.

მისამართი:
ქუთაისი, ნიკეას ქ. №21

ტელეფონი: 555 10 56 62
E-მაილი: dat-chap77@mail.ru

იმერნათი

თხილის გადამამუშავებელი საწარმო

„ოქროს ხელები“

ლითონის ჭედური ნაკეთობები

„ოქროს ხელები“ აწარმოებს ყველა სახის რკინის ნაკეთობას:
ჭიშკრებს, კარებს, გისოსებს, დარაბებს, მოაჯირებს, ქოლგებს, ჟალუზებს, ტახტს, მაგიდას, სკამს, ბუხრის ინვენტარს.

დახვეწილი დიზაინი, მრავალფეროვნება, სიძველის ეფექტი.
პროდუქციის ხარისხს განაპირობებენ ორნამენტის მხატვრულ დამუშავებაში გამოცდილი სპეციალისტები.
ვემსახურებით ადგილზე მიტანით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში
მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №18
ტელეფონი:
593 113 318; 555 377 366
www.cheduri.weebly.com